ზოგადსაგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

01/08/2024

MES 1 24 0000933546

გადაწყვეტილება

„სსიპ - თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლის ავტორიზაციის შ ესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 20 ნოემ ბრის N1576596 ოქმის მეოთხე ნაწილში ცვლილების შესახებ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. **შევიდეს ცვლილება20 ნოემბრის N1576596 ოქმის მეოთხე ნაწილში და რედაქცია:**

„**მონიტორინგის დაწყების პერიოდი:** 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.“

„საბჭომ 3.3; 3.4 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა. ასევე, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სკოლამ წარმოადგინოს 3.1 კომპონენტით გათვალისწინებული დოკუმენტები, კერძოდ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები და 1.2 კომპონენტით გათვალისწინებული 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.“

ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მონიტორინგის დაწყების პერიოდი: 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა: ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან დოკუმენტების შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები: სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.“

„საბჭომ 3.3; 3.4 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობისა და შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების წარმოდგენა. ასევე, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში სკოლამ წარმოადგინოს 3.1 კომპონენტით გათვალისწინებული დოკუმენტები, კერძოდ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები და 1.2 კომპონენტით გათვალისწინებული 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.“

2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 1-ლი აგვისტოს N932465 სხდომის ოქმის მეთერთმეტე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით (შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. მეორე შესახვევი №2) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა

ელექტრონული
მფლობელსაუღი
ელექტრონული